# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 125
წელიწადი მეორე
1913
შაბათი, 17 აგვისტო.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.



ელექტრო-თეატრი
„რადიუმი“
სუთშაბათიდან 15 აგვისტო-დან
ახალი პროგრამით

პ ა ტ ე ყ უ რ ნ ა ლ ი
სისხლის ხარჩევნია
შემაძრწუნებელი დრამა შვიდ ნაწილათ 2000 მეტრ.
სუსტსა და ნევრნიანებს ვსთხოვთ არ დაესწრონ.
დირექცია სთხოვს საზოგა. ბავშები არ დაასწრონ ამ სეანსებს.

პაკსონი უმაღლესი საზოგადოებაში
უდიდესი კომედია პავსონის მონაწილეობით.
ფასები ჩვეულებრივია.
დაწვრილებით პროგრამაში.

ა ნ ო ნ ს ი.
ამ მოკლე ხანში ვაჩვენებთ ორ
სათამაშო სურათს
სათაურს გამოვაცხადებთ დადგმის დღეს.



პლატონ გიორგის-ძე ბერძენი, პროკოფი სისოს-ძე ხაბაშვილი და ივლიტე სოლომონის ასული ძაბაშვილისა, მარიამ, ნიკოლოზ და გიორგი პროკოფის ასული და ძენი ხაბაშვილები, გიორგი (იგივე დ ავით) პეტრეს-ძე ბერძენი და ეფროსინე შამას ასული ბერძენისა, დომინიკა გიორგის ასული გლუშაკოვისა, ოლია და მალენტინა გიორგი ბერძნის ასულნი და სიძე ვლადიმერ მასილის-ძე გლუშაკოვი ულრმესი მწუხარებით გაუწყებენ რა ხანმოკლეავათმყოფობის შემდეგ დაბა ცაგერში უდროვოთ გარდაცვალებას პირველი საყვარლის მეუღლის, მეორენი უძვირფასესის ასულის, მესამენი—დის ხოლო დანარჩენნი დაუვიწყარის რძლის

დესპინე პროკოფის ასულის
ბერძნისას

უმორჩილესათ გთხოვენ მობრძანდეთ და დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას ამა აგვისტოს 18-ს, დღით კვირას, ნაშვადღევის ხუთ საათზედ, და ანუგეშოთ მწუხარებასა შინა მყოფნი ჭირისუფალნი, თფილისის ქუჩაზე საკუთარ სახლში, საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე.



ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა
ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა
უდიდესი
წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.



ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
ღებულობს შინაგან, ბავშებისა და ნერვების ავათმყოფებს.
იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.
გამოკვლევა შარდისა (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა დ თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველისა (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)
სისხლისა (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხისა (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტებისა (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ჩირქისა (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძისა.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.



ეგზამენები
ქუთაისის უმაღლეს პირველ დაწყებით
სასწავლებელში
„Высшее Начальное Училище“—დაიწყება 22 აგვისტოდან, დილის 8 ს. თხოვნები ყოველ დღე სასწავლებელშივე მიიღება.
თავისუფალი ადგილი ყოველ კლასშია.



თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია
აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს
დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა
წ ი გ ნ ე ბ ი,
რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.
ფასები საკმაოდ დაკლებულია.
მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები და სხ., რასაც ძალიან დაკლებულ ფასათ დაუყონებლივ მივაწვდით გოკიელის საკანცელარიო მაღაზიიდან.
მისამართი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.



თფილისის
კომერციული ბანკი
აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან გახსნა ფილიალური განყოფილება ქ. ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩ. ზაქ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს.
ქუთაისის განყოფილება თფილისის კომერციული ბანკის.



ხაშურის (მიხაილოვო) 6-კლასიანი
ვაჟთა პროგიმნაზია
(უფლებიანი მოსწავლეთათვის)
აცხადებს, რომ შეგირდების გამოცდა და მიღება დანიშნულია 20 აგვისტო-დან—1 სეკტემბრამდი.



განცხადება.
ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში პროფესიონალური განყოფილებით 1 სეკტემბრიდან
იხსნება მესამე კლასი:
მოწაფეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სასწავლებელი იმყოფება უწინდელ ბინაზე: თფილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.
სასწავლებლის გამგე: ნ. ლ. მიქელაძის ასული დადიანისა.



ქუთაისის ქალთა
შვიდ-კლასიანი
კერძო სასწავლებელი
მ. ი. ყაუხჩიშვილისა
ამით აცხადებს, რომ მისაღები და გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 22 ამა აგვისტოდან და გაგძელდება თვის ბოლომდი.



ქირავდება
ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

იყიდება
ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.
მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

შინაგან სნეულებათა ა ქ ი მ ი
ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

ექიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

ე ქ ი მ ი კ. თ. ტყეშელაშვილი.
ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

ექიმი ი. ჩარექოვი
იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.


## წინ სწრაფვა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, რუსეთის ცხოვრება გარდაქმნის გზას დაადგა. თუმცა სცადეს მოესპოთ, გაენადგურებიათ უკმაყოფილების ქარიშხალი, მაგრამ ცდამ ამაოთ ჩაიარა და ჩაჩუმება ფიქცია გამოდგა, იგი შორიდან მოყვრისა და ახლოს კი მტრის თვალთა დამაბრმავებელი შეიქნა. არ მომკვდარა ხალხში ის, რის სიკვდილსაც შეხაროდენ, ვერ მოსპეს ის, რაც სურდათ მოესპოთ—ცხოვრება დასახული მიზნისკენ სხვაგვარათ და სხვაგზით მიისწრაფვის. რეაქციონურ ელემენტებს, რომ შეეკითხოთ, იტყვიან: რუსეთის ცხოვრებაში ახალი არაფერი მომხდარა, იყო „წუთიერი ატყინება“, რომელიც ძალით ჩააჩუმეს და დაადუმეს, აღმოფხვრეს და გაანადგურესო... მაგრამ „ნეტარ არიან მორწმუნენი“! დე, მათ სჯეროდეთ, რომ პეტერბურგის ყოფილი გრადონაჩალნიკის აწ უკვე განსვენებული ტრეპოვის სიტყვებმა: „ტყვია-წამალს ნუ დაზოგავთო,“ ისტორიის ჩარხი უკუღმა შეაბრუნა და ხალხის ძლევამოსილობას სამარე გაუთხარა. ამით არავის არ სცივა, არც სცხელა, რადგან რუსეთის დემოკრატიამ კარგათ უწყის, იგი დიდებულათ გრძნობს თუ მის „წუთიერ ალტყინებას“ რა დიადი ისტორიული მნიშვნელობა ქონდა, მან მშვენიერათ იცის, თუ „წუთიერმა ალტყინებამ“ როგორ შეუკრთო ძილი და მოსვენება, და რა ფერიც გადაკრა რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის მესვეურთ. ვინც სინამდვილეს დაშორებულია, ან ახლო სდგას

ამ სინამდვილესთან, მაგრამ სურს მას გაექცეს, რადგან ეშინია მისი აჩრდილისაც კი, ვისაც სურს ცხოვრების მამოძრავებელი ღერძი პირადი სურვილების მიხედვით ატრიალოს და ამასთანვე გრძნობს იმასაც, რომ მას ეს არ შეუძლია, ამისთვის ღონე არ შესწევს, საამისოთ ქანც მილეული და დაუძლურებულია, იგი იმ კატას წააგავს, რომელიც ძეხვს ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, „დღეს პარასკევიაო“. მაგრამ ყველაზე უფრო კურიოზული კი ისაა, რომ ამჟამათ რუსეთის მართველ წრეებს კვირაში შვიდი ამისთანა პარასკევი აქვსთ.

არ შეიძლება რუსეთის მართველი წრეები არ გრძნობდენ იმას, რომ მათი ბრძოლა ხალხის სულისკვეთების წინააღმდეგ უნაყოფო გამოდგა.

ექვსგარეშეა, ყველაფერს კარგათ გრძნობენ, ალოდაც აქვთ ალებული, თუ რამდენათ ძლიერდება და ახლოვდება ის გრიგალი, რომელმაც ყოველივე სავსებით უნდა გარდაქმნას და შესცვალოს. აბა, რა არის, ან რას მივაწეროთ ჭეშმარიტ რუსთა კავშირების გავრცელება, მათი ორგანიზაციების სახაზინო სუბსიდიებით გამოკვება, პატრიოტულ მანიფესტაციათა გამრავლება, თავად-აზნაურთა კრებები რეაქციონურის პროგრამებით, ათასგვარი პეტიციები და სხ.დასხ. რა არის ეს, თუ არ ამერიკული „რეკლამები,“ რომელიც დამპალი საქონლის შესახებ გაიძახის—რა მშვენიერიაო. რა არის ეს, თუ არა წინაპართა სულის სამარიდან უკანასკნელი ამოძახილი!?

თუ „ალტყინებამ“ სახე იცვალა, და ან მოწინააღმდეგე ძალთა უკანასკნელი შეგროვების წინ თვალები მინაბა და გულში კი ზრახვანი რწმენის შარავანდით შემოსა, ეს დამარცხებას არ ნიშნავს. აბა, დაუკვირდით რუსეთის თანამედროვე მართველი წრეების მოქმედებას, გადახედეთ ცხოვრებასაც და ხალხსაც და სთქვით: ვინ გაიმრუდა გზა—მართველობის მესვეურებმა თუ ხალხმა და ცხოვრებამ. არა ცხოვრება თავისი გზით მიდის, ხალხიც დასახული მიზნისკენ მტკიცეთ მიეშურება, მართველი წრეები კი, ცოტა არ იყოს, არა ჩვეულ ნახტომს აკეთებენ. კოკოვცოვი სიპიაგინსა და პლევეს დაშორებია. ოფიციალური რუსეთის მებარახტემ უარყვს, დაგმო წინაპართა ტკბილი, მაცდური ოცნებანი, რომ ტყვია-წამალი და სამხედრო—საველე სასამართლოები ხალხის დრტვანვისა და თავისუფლებისადმი ტრფიალს სასიკვდილოთ გაუგმირავდა გულს. ცხოვრებამ მას ნათლად აჩვენა და დაანახა, რომ პლევე-ტრეპოვების პოლიტიკა აუცილებელი განცდის წამს აახლოვებს და მომაკვდავის დღეთა გასაგრძელებლათ სულ სხვა საშვალებაა საჭირო. ეს საშვალება კი კოკოვცოვის რეცეპტით შემზადებული, ლიბერალური ფხვნილია რომელიც რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური ორგანიზმის სნეულებას ვერ განკურნავს სრულებით, მაგრამ სადღესსახვალ მოკლავს.

ნურავინ ფიქრობს, რომ „წუთიერი ალტყინება“ წუთიერი ექსტაზით იყო გამოწვეული, ან წუთიერი იყოს მისი გავლენა. მასჟამს შემდეგ რუსეთის ცხოვრებას ცვალებადობა დასჩემდა, მის სულსადგულს, მის არსებასა და ამ არსების შინაარსს არსებითი გარდაქმნა—გადასხვაფერება ეტყობა. რუსი გლეხობა ადვილათ ითვისებს და თანაგრძნობას უცხადებს მას, რაც აქამდი „ეშმაკის საქმეთ“ მიაჩნდა, და მშრომელი ხალხი თვის სვე-ბედს აბარებს იმათ, ვისაც აქამდი ეტყოდა:—განვედ ჩემგან მაცდურო!

თუ უწინ უკმაყოფილების გამოძახილი თითო-ოროლა პიროვნების მხრით ისმოდა, ახლა ხალხი გამოფხიზლდა, იგი აღარ ფარავს, აშკარათ და გარკვეულათ აცხადებს რასაც მიელტვის, ჩვენი თვალის წინ ანდაზათ იშლება მთელი რიგი სანახაობისა, რომელთა შორის პირველი ადგილი 17 ოკტომბრის მანიფესტს ეკუთვნის. ეს ისეთი ისტორიული აქტია, რომლის მნიშვნელობა ბუმბერაზ ადგილს დაიჭერს ამ ისტორიის ფურცლებზე, რადგან არაჩვეულებრივია რუსეთის ცხოვრებისთვის მისი შინაარსი და მოულოდნელია ნაყოფი, რომელიც მან მოიტანა. თუმცა სათათფირო სრულს კანონმდებლობით უფლებას მოკლებულია, მაგრამ მაინც რამდენი მნიშვნელობა აქვს მას? თუ თვით სათათფირო არას აკეთებს, სათათფიროთი ხო მაინც კეთდება რამე?

ვნახეთ, რომ ხსენებული მანიფესტის პარაგრაფები საპნის ბუშტათ იქცა და დაპირება რეალურათ ხორცსხმული ვერ შეიქნა, მაგრამ ამ სათათფიროს დაპირებანიც ერთგვარი გამარჯვების მომასწავებელია.

სრული გამარჯვების გვირგვინი არამკობს ახალგაზდა რუსეთის რაინდულ თავს, მაგრამ აშკარათ და ცხადათ მაინც სჩანს, რომ დიდი საქმე დაწყებულია, მას რამდენიმე ნაბიჯიც აქვს გადადგმული და ხალხს იმედის ლანდით მაინც შეუძლია ისულდგმულოს, რომ სასიამოვნო გამოძახილი სანატრელ დაბოლავებას მიიღებს. აიღეთ რუსეთის მწერლობა, თვალი გადაავლეთ ხელოვნების პროგრესს, გაეცანით ეკონომიურ ზრდა-განვითარების პროცესს, გაიხსენეთ ნოქართა, კოოპერატორთა, და სხ. დარგის მშრომელთა „სიეზდები“, გადახედეთ კოოპერატიული და პროფესიონალური კავშირების გამრავლების საქმეს და დარწმუნდებით, რომ ცხოვრება სწრაფის ნაბიჯით ბეჯითი რწმენით წინსვლისკენ, განახლებისკენ მიისწრაფვის...

**იმერი.**

---

## დეპეშები.

— შავ ზღვაში იტალიის სამხედრო გემის გაშვების წინააღმდეგ რუსეთის ელჩმა სტამბოლში პროტესტი განაცხადა.

— სახელმწიფოებს შეუძლებლათ მიაჩნიათ ამჟამათ, გერმანიის გავლენით, ოსმალეთს კრედიტი არ გაუხსნან.

— ბულგარეთი თანახმაა ადრიანოპოლი ოსმალეთს დარჩეს.

— ფინლანდიის სადგურზე რკინის გზის სალარო გაცარცვეს.

— პეტერბურგში ქალთა დამხმარე საზოგადოება დაიხურა.

— განზრახულია რუსეთში ებრაელთა გიმნაზიების დახურვა.

— სერბიის მთავარი მინისტრი ... [illegible] ...

— ბულგარეთის ცნობილი გენერ... რადკო დმიტრიევი სამსახურიდან გად...

— მთაშაველთა სერბიისაგან მ... ბალკანეთის ომში დახმარების გაწ... თვის დიაკოვო და პლევლე მიიღო.

— სერბიის მოსწავლე ახალგაზდ... მილიუკოვს სერბიის წინააღმდეგ წ... ლებისთვის გასვლა მოსთხოვა. მი... კოვი სალონიკს წავიდა.

## ახალი ამბავი.

✦ გაზ. „ს.-პეტერბ. ვედომოსტის“ რედაქტორი თავ. უხტავსკი 350 მან. დააჯარიმეს შემდეგი წერილების მოთავსებისათვის (№№ 4, 16, 24, 111) „Вѣсти изъ Крестоносной Грузіи“, „Закавказскіе Патріоты“, „Изъ Грузіи“ და „Русскіе переселенцы въ Грузіи“.

✦ თფილისის მაძებარ პოლიციას შეუპყრია ს. ბახვის მცხოვრები მელქისა მახარაძე, რომელიც ქუთაისის ადმინისტრაციის განკარგულებით ამ უკანასკნელ ხანებში დაპატიმრებულებთან ერთად ოზურგეთის მაზრის სატუსაღოში მოათავსეს.

✦ გუშინწინ სალორიის ტყეში თავი მოიკლა გორის პოლკის პორუჩიკმა ხრეზილმა. მიზეზი თვითმკვლელობისა არ იციან.

✦ ახალი კერძო საავათმყოფო, რომელსაც სათავეში უდგას ოთხი აქიმი—დ. ჯაფარიძე, ვ. ჯოლაშვილი, ნადირაძე და ბეთანელი, ფიქრობენ—1 ენკენისთვიდან დაიწყებს მუშაობასო. ამ ოთხ აქიმს გარდა მოწვეული იქნებიან ხოლმე აქიმნი—მუხაძე, ქო..ქაშვილი და რელიგეონი, როგორც კონსულტანტები. თვით საავათმყოფოში 12 საწოლი იქნებაო.

✦ როგორც კერძოთ გადმოგვცეს, ნ. ნიკოლაძეს ბაქოელ ნავთის წვრილი მწარმოებლებისათვის დიდი საქმე მოუწყვია პეტერბურგშიო. ეს წვრილი მწარმოებელნი შეკავშირებულის ძალით ამიერიდან შეძლებენ სხვილ მწარმოებლებთან ერთად მხარდამხარ აწარმოონ საქმე და დაჩაგრული აღარ დარჩენო.

✦ სიღნაღში გადაცვლილა ამ ქალაქის მოურავი ენიკოლოპოვი.

✦ ხვალ ხონში ნ. გვარაძის ბენეფისია; წარმოადგენენ პიესას—„პანსიონის ზღუდეთა შორის“.

✦ ხშებია ლაბაძის სახელით ბევრ ქუთაისის შეძლე ვაჭარს მოსდის წერილები და ფულს ითხოვენო, კმარა, გავარდეს ვინმე ყაჩაღათ და იმალებოდეს მთავრობისაგან, რო მისი სახელით სარგებლობას მიმართვენ შანტაჟისტები და გაჩაღდება უსახელო წერილები და დაუსრულებელი უკუღმართობა.

✦ ყოველი მხრიდან ცნობები მოგვდის, რომ წელს შიმშილობა მოსალოდნელიაო. ქვემო იმერეთსა და ოდიშში თითქმის სამი წილი სიმინდის ყანებისა საქონლის საკვებათ აუჭრიათ. ბევრგან სიმინდის სიმაღლე ალაბს არ აცილებია და ტარო არც უფრო მაღალ სიმინდებს მოეძევებაო. გზადაგზა ქუთაისიდან ხონამდი, ნაგვაზაურში, ნახახულევის საზოგადოებაში, სადაც კი თვალი მივუწვდინეთო—გვწერს გამვლელი კაცი,—ყველგან ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია ყანებიო.

გვწერენ—აწი დიდი წვიმებიც რო წადგეს, ყანებს არაფერი ეშველებაო.

მივმართავთ ჩვენს კორესპონდენტებს—მოგვაწოდონ ნამდვილი ცნობები მო... ლის შესახებ.

✦ ამის გამო სოფლის რწმ..ნებულ... რომელთაც ჩვენება მისცეს შჩეგრო... სკის პოლიციის მოქმედების შესახ... სასტიკ დევნას განიცდიან. რწმუნებუ... იორდანე გორდელაძე 5 აგვისტოს უ... დააპატიმრეს, დანარჩენებს დაეძებ... მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს დე... ში გაუგზავნონ გენერალ შჩეგროვს... თფილისში. ამას წინათ გაზეთებში ... თავსებული ცნობა, ვითომ დეპუტა... წასულიყოს ნამესტნიკის მოადგილეს... რომ გლეხებს გადასახადი შეუმცირდ... სიმართლეს მოკლებულია. ხსენებულ ... პუტაციას ამის ნაცვლათ შეამდგომლ... ბა ალუძრავს-გურიის ყველა პოლიცი... თავის ადგილზე დასტოვოს, რადგან ... ნაშავე არაფერში არიანო.

### მოწერილი ამბავი.

ს. ზოდგვი. სოფელ ჰოლევსა და ს... მანში დიდი ხანია შკოლის დაარს... განიზრახეს. 11 აგვისტოს ამ საქმეს ... ძირკველი ჩაეყარა. ხსენებული სოფ... ლების ყრილობა მოხდა, მაზრის უფ... სის თანდასწრებით. ბ. ალექსი ქეჩი... ყრილობას განუმარტა შკოლის სარგ... ლობაზე. სოფელმა დაადგინა და 1 ს... ტემბრიდან გაიხსნება კიდეც ერთკლ... სიანი სამინისტრო შკოლა.

ს. გვაზჭირო. კარგი საქმის დამწყ... არ შეიძლება მოწინააღმდეგე არ გამ... ჩნდეს აქ. ამ ორი წლის წინათ თ. ... წულიკიძე რო თავის თაოსნობით შკოლ... აარსებდა, უთანხმოება დაიბადა უშ...

---

## ბუნების წიაღზე.

**გაკვრით ფიქრები და შთაბეჭდილებანი.**

(გაგძ. იხ. „იმერეთი“ 124 №-ი).

ნიკორწმინდის ტაძრის დათვალიერებამ კიდევ ერთხელ განამტკიცა ჩემში ის აზრი, რაც წინათ სხვა ქართულ ტაძარ-მონასტერთა დათვალიერების დროს გამოვიტანე. მე ვამბობ ჩვენი სასულიერო წოდების იმ კულტურულათ ჩამორჩენილობაზე, ზოგჯერ ყოვლად მიუტევებელ უვიცობასა და გაუვითარებლობაზე, რომელსაც უფრო მეტათ მაშინ ამჩნევთ, როდესაც ძველ დიდებულ ნაშთებს ეცნობით. უნებურათ გაგონდებათ დასავლეთი ევროპის შავი თუ თეთრი სამღვდელოება, რომელიც იმდენათ მაღლა დგას ჩვენსაზე, რამდენათაც საერთო კულტურა ევროპისა ჩვენსას სჯობს. ვიტყვი მეტსაც—განსხვავება მათ შორის უფრო მეტიც არის, ვიდრე ჩვენი საზოგადოებისა და ევროპის დანარჩენ ნაწილთა შორის. უეჭველია, ეს იმის ბრალიც არის, რომ ჩვენი სამღვდელოება განიცდის არა მარტო ჩვენი საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის ზეგავლენას, არამედ საჭირო დამოუკიდებლობის ცუდ შედეგებს იმ ვიწრო ფარგლებშიც, რომელშიც იგი მოქმედებს დღევანდელ—ღვთისმსახურების საქმეში. ასეა თუ ისე, გონებრივი სალარო ღვთისმსახურთა ჩვენში ერთობ მწირი, ერთობ ვიწრო და ამიტომაც არის, რომ მას გავლენა და პატივისცემა ხალხში თითქმის არავითარი არა აქვს. ჩვენ ასეთ გავლენაზე სრულიადაც არ ვნაღვლობთ, ვინაიდან კლერიკალიზმი პოლიტიკურ თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მტერია. ჩვენ მხოლოდ მათი ინტელექტუალური ჩამორჩენილობა, მათი შეუგნებლობა იმდენათ გვაწუხებს, რამდენათ ეს გარემოება ჩვენი ძველი კულტურის ნაშთების რიგიანათ დაცვას ხელს უშლის.

ნუთუ, მართლაც და, დიდათ სამწუხარო და სავალალო არ არის, რომ ჩვენს ძველ ტაძარ-მონასტრებს, ისტორიისა, ხელოვნებისა, თუ სხვა მრავალი მხრით დიდმნიშვნელოვანი, ჭეშმარიტი, შეგნებული მზრუნველი არა ყავს? ვის პირდაპირ, ახლო მოვალეობას შეადგენს შეუნახოს შთამომავლობას ის ძვირფასი განძი, რაც ამ ტაძარ-მონასტრებში მოიპოვება, თუ არა იმ პირთა, რომელნიც მუდამ აქ ტრიალებენ, მათ განაგებენ? ვინ უნდა აცნობდეს ხალხს ყოველივე საგულისხმოს ამ ტაძარ-მონასტერთა შესახებ თუ ბეჭდური სიტყვითა და სხვაფრივაც, თუ არა იქ მსახურნი ღვდელნი და ბერნი?

ჩვენ კი რას ვხედავთ? მიბძანდით ჩვენს გამოჩენილ ტაძარ-მონასტრებში და იქ სრულ უვიცობას გადაატყდებით. ბევრჯერ ბერმა თუ ღვდელმა ისიც კი არ იცის, რას განაგებს, რა განძი, რა ნაშთი მიუბარებიათ მისთვის? ვერავითარ რიგიან ახსნა-განმარტებას, ვერავითარ ცოდნას ისტორიიდან თუ ხელოვნებიდან თქვენ მათგან ვერ მიიღებთ. თითქმის არსად სულ უბრალო პოპულიარული ბროშიურაც კი არ მოიძებნება ამა თუ იმ ტაძარსა თუ მონასტერზე. ვერსად ვერც ღია ბარათებსა და ვერც საგანგებოთ სამახსოვროთ დამზადებულს ნივთებს თქვენ ვერ იპოვით. არავითარი ინიციატივა, არავითარი ინტერესი სიძველესადმი, არავითარი ნივთიერი მზრუნველობა მინდობილი საქმის გასაუმჯობესებლათ. მხოლოდ მტვერი, მტვერი და კიდევ მტვერი. იმ დანაშაულობით გულგრილობას რომ უცქერით, იმ ხშირათ პირდაპირ ველურ მოპყრობას წმინდათაწმინდასადმი, რომელსაც იჩენს ხშირათ ქართველი სულიერი მამა, არ შეგიძლიათ მთელის თქვენი არსებით არ ამხედრდეთ მის წინააღმდეგ. ნიკორწმინდის ტაძრის ერთერთი შესანიშნავი შესავალი დარაჯის სადგომათ გაუხდიათ, ზედ ბუხარი მიუშენებიათ, რომელსაც ტაძრის ერთი მხარე მთლად გაუშავებია და ერთ ადგილს მშვენიერი ჩუქურთმა მთლად დაუზიანებია. და ყოველი ეს გამგე ღვდლის ლოცვა-კურთხევით მომხდარა. იმავე გამგემ თითქმის ვერავითარი ახსნა-განმარტება ტაძრის ისტორიის, მისი თავგადასავლის თუ დაცულ ნივთებისა და ხატების შესახებ ვერ მოგვცა. შიგ ტაძარში დასაფლავებულზე დადებული ქვის წარწერა ვერც კი ამოიკითხა და, როგორც ჩანდა, ეს მას არც აინტერესებდა. „ეს ძნელი ამოსაკითხია, ქარაგმით დაწერილი ხუცურიაო“, გაიმართლა მან თავი ჩვენს წინაშე. რომ კონდაკოვის წიგნი არა, ჩვენ მისი მეოხებით ვერას გავიგებდით.

გელათში წმ. გიორგის ეკლესიაში ერთი გულანია, რომელიც ბევრნაირათ ღირსსაყურადღებოა: შიგადაშიგ შესამჩნევი ისტორიული პირები და ფაქტებია აღნიშნული კონსპექტიურათ, ქართული კალიგრაფიის და გადამწერის გიგანტურ, რაღაც საოცარ შრომის ერთი იშვიათი ნიმუშია. და ეს გულანი მონასტრის არქივში, რომელიმე განჯინაში კი არ ინახება—გდია იგი უყურადღებოთ მტვერით სავსე ამბიონზე ყოველი მიმსვლელის საჯიჯგნელათ და საფურცლავათ.

სიტლანქის და უვიცობის მაგალითები ჩვენს ტაძარ-მონასტრებში მრავალია, მაგრამ მე მათ აღნუსხვას არ შეუდგები, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს ჩემს მიზანს არ შეადგენს. ჩემი განზრახვა იყო ოდნავ მაინც შემეჩერებია მკითხველთა ყურადღება ქართველ მოძღვართა დიდის უმრავლესობის სრულ უკულტურობაზე ისეთ წმინდა ეროვნულ საქმეში, როგორიც არის სიძველეთა მოვლა-გაძღოლა. მე მწადდა მეთქვა, რომ ღვთისმსახურება მარტო ლოცვა კი არ არის, ღვთის მსახურებაა ისიც, რომ შთამომავლობას შეუნახოს ის სიკეთე, რაიც დიდი შრომითა და მაცადინეობით წინაპრებს ჩვენთვის გადმოუცია, რომ ერს არ დაუკარგოს ის მასალა, რითაც მისი ისტორია იწერება.

ასე ესმით ალბათ, თავისი მისსია დასავლეთის სასულიერო წოდებას, რომელიც ისე ღვთაებრივი კრძალვით, ისე სიფაქიზით, ისე მამობრივი მზრუნველობით ეპყრობა ყოველ ნაშთს, ყოველ წვრილმანსაც კი წასული კულტურისას. მისი კულტურობა, ხშირათ ღრმა, ყოველმხრივი განვითარებაა მიზეზი მისი ძლიერი მოვლენისა ზოგიერთ სახელმწიფოში. მართალია, სასულიერო პირთა გავლენა, როგორც ერთნაირი მოძღვრების მიმდევართა, სოციალ-პოლიტიკურ სფეროში რეაქციონურია, მაგრამ ეს რეაქციონერობა მათ ხელს არ უშლის ზოგი კულტურული დაწესებულება, ერის შემოქმედების ნამოქმედარ-ნამოღვაწარი წმიდათ დაიცვან, შეგნებულათ უპატრონონ მოწინავე ერის კაცობასთან ერთად.

ჩვენ ღვდელსა და ბერზე სხვაც ბევრი გვაქვს სათქმელი, მაგრამ ვაი თუ ამაზე საუბარს შევრჩეთ და ჩვენი მოგზაურობა მთლად დაგვავიწყდეს, ამიტომ სჯობს ისევ ნიკორწმინდას დავუბრუნდეთ, იმ მშვენიერ, მომხიბლველ ნიკორწმინდას, რომელსაც არც არავინ უგალობს და არც არავინ სწყალობს დიდ ყურადღებას.

აი, ეს ბუნებით უხვათ დაჯილდოვებული და ქონებრივათაც, შედარებით, წელმაგარი სოფელი კულტურულათ ერთობ დაცემულია: არც ფოშტა, არც აფთიაქი, არც საკოოპერაციო რამ დაწესებულება, არც საზოგადო ბეღელი, არც საავათმყოფო, არც სამკითხველო, არც აქიმი და არც ბევრი სხვა რამ, რაიც იმერეთის ბევრს გაცილებით უფრო ღარიბს სოფელს გააჩნია. იგივე, მცირეოდენი მეტნაკლებობით, ითქმის მთელ რაჭაზე. ეს კუთხე ჩვენი ქვეყნისა, საზოგადოთ, მეტათ ჩამორჩენილია კულტურის მხრით.

რა არის ამის მიზეზი? ჩემის ფიქრით, უმთავრესათ მასის, მცხოვრებთა უმრავლესობის —გლეხკაცობის გაუნათლებლობა, რაიც, სხვა დამაბრკოლებელ პირობათა გარდა, იმის შედეგიც არის, რომ რაჭველი თავის მისწრაფებით სწავლა-განათლებისადმი და საერთოდ ცხოვრების გაუმჯობესებისადმი, ცოტა არ იყოს, ზანტი და მძიმე ბუნებით.

რაჭის გაცნობამ ამ მხრივ დამარწმუნა მასში, რაც ჩემს დიდი ხნის შეურყეველ რწმენას შეადგენს: სადაც მასა გონებრივათ და ქონებრივათ დაკემულია, იქ თ... თითო- ოროლა დიდათ განათლებული, ... ზოგადო ინტერესებით გატაცებული ... ტელიგენტი ბევრს ვერას აკეთებს. ... თითქო უძლურია გააკეთოს რაიმე, ... სურვილი და უნარიც რომ ქონდეს ... კეთებისა. ამის ჩინებული არგუმენტი ... ჭაა. ისეთ სოფლებს, როგორიც ნიკო... წმინდაა, ხოტევი, ღები, ქიორა, ... ლა და სხ., არა ერთი დიდათ შეგნებ... ლი, მაღალი განათლებით აღჭურვილ... ხალხის გულწრფელი მოკეთე, თავდა... ბული მუშაკი ყავს, მაგრამ აქაური ცხო... რება დაბალ, პრიმიტულ ყოფას არ ... ცილებია, უფრო მდორე და უძრავ... ვიდრე საქართველოს ისეთ კუთხეში, ... დაც გლეხკაცობა მეტის შეგნება-გან... თარების პატრონია.

მთავრობის მიერ ღვთისანაბარათ ... ტოვებულია, რაჭა საზოგადოებრივ ინ... ციატივას და თვითმოქმედებას სუსტ... იჩენს. და სადაც ეს ინიციატივა სუსტ... სადაც საზოგადო ინტერესების შეგნ... არ არის, იქ ხშირად კერძო ინიციატ... უძლეველ დაბრკოლებას ეხეთქება, ... კლდეს, და იმსხვრევა უნაყოფოთ,

ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, ... აქ ინტელიგენციას სამოქმედო ასპარ... არ ქონდეს. არა, მისი წმინდა მოვალ... ბაა ხალხის გათვითცნობიერებას სხვა... სხვა გზით ხელი შეუწყოს და ამისთვ... კი პირველყოვლისა წერა-კითხვის გავ... ცელება და უსაჭიროეს ცოდნათა შეტ... ნაა სოფლის წყვდიადში. უამისოთ არ... სამკითხველოს ეყოლება მკითხველი, ... ბანკს საკმაოდ მომზადებული შეგნებუ... მეთაურები, ვერც გამსაღებელი საზოგ... დოება იხეირებს და სხ. და. სხ. ამ საა... ბანო ჭეშმარიტებაზე—წინდაწინ ნია... გის მომზადება სხვადასხვა საზოგადო ... წესებულებათა დღეგრძელობისათვის,... ჩვენ მიტომ ჩამოვაგდეთ სიტყვა, რო... ამით გვინდა ვსთქვათ შემდეგი: სოფლ... მოღვაწისათვის პროგრამა მოქმედებ... სასტიკათ განსაზღვრული გეგმა საზოგ... დოებრივი მუშაობისა უფროც საჭირო... ვიდრე ქალაქში. სოფელში ერთ უბრ...

...ოები შკოლის დაარსების წინააღმდეგნი იყვნენ და ზოგსაც თავის სახლთან უნდოდა შკოლის დაარსება. ავათ იყო თუ კარგათ მაშინ შკოლა დაარსდა. ახლა ერთ კამპლექტიანი შკოლა ორკომპლექტიანათ უნდათ გადააკეთონ. სამოსწავლო მთავრობამ სოფელს ამ საქმისთვის ას მამეთამდი მოსთხოვა და ამას მოყვა ზოგიერთი უკუღმართების ...რი და ინტრიგა.

როგორც ხმა დადის უმაღლეს მთავრობას შჩეგროვსკის გამოძიება უყურადღებოდ დაუტოვებია და ყველა პოლიტ...ელი თავ თავის ადგილზე რჩებაო.

## ჯარში გასაწვევი ხალხი საფთხეშია.

მოგეხსენებათ, რასაკვირველია, რომ დღეს თავადაზნაურობის საკრებულოში რევიზიაა. ისიც მოგეხსენება უთუოდ, რამ გამოიწვია ეს რევიზია.

ეს რამდენიმე წელიწადი იქნება, რაც მართებლობა სდევნის ჯარში გამწვევ „პრისუტსტვიების“ ბოროტმოქმედებას. მართებლობამ იცის, რომ ბოროტმოქმედება ხდება, ხშირათ თავისუფლდება ისეთი გასაწვევი, რომელსაც შეძლება შესწევს, მოქრთამოს ვინმე მოხელე და ამით გათავისუფლდეს... ამის თაობაზე ბევრი გამოძიება იყო, ბევრი საჩივარი სენატში, მაგრამ მოხელეები ყოველთვის გამართლდენ, რადგანაც საქმეები ისე ფორმალურათ დაცულია „პრისუტსტვიებში“, რომ ვერც ერთმა რევიზიამ ვერაფერი ამოაჩინა;—მომჩივანი, პირდაპირ დაინტერესებული პირი არაფერს აცხადებს იმის შიშით, რომ კანონი სჯის როგორც ქრთამის ამღებს, აგრეთვე ქრთამის მიმცემსაც. ამის გამო სიმართლე არ გამოაშკარავდა, ბოროტმოქმედი არ გამოჩნდა.

ჩვენი საქმე და მიზანი არაა იმ შემთხვევაში მართებლობას გვერდში ამოვუდგეთ და გამოძიებას შევუდგეთ, მაგრამ ჩვენ გვაწუხებს ხალხის საქმე, გვაწუხებს საცოდავი გაწვეულები, რომელნიც სხვის ბადლათ მსახურებენ უმართლოდ და, ვინ იცის, ამის მიზეზით რამდენი ოჯახი დაღარიბდა, მუშა ხელი მოაკლდა სამი წლით ჯარში ყოფნით, ან ჯარში ავათმყოფობით, რომელიც თითქმის 5 ნაასალს შეადგენს თურმე ყველა გაწვეულთა.

და ფულის პატრონი, შეძლე და გავლენიანი ხალხი, რომელთაც არაფერი გასაჭირი უდგას წინ ჯარში ყოფნით თავისუფლათ დათარეშობს. რაკი მართებლობა ჯარის გამწვევ „პრისუტსტვიებში“ ჯერჯერობით ვერაფერს გახდა ახლა მარშლების მოქმედებას სხვა წყაროებში იძიებს, უნდა თავადაზნაურობის საკრებულოში მიიკვლიოს რაიმე დანაშაულობა მარშლებისა და ეს რევიზიაც მისია.

რაც არ უნდა ამოაჩინოს ამ რევიზიამ—მართებლობა და საზოგადოებაც დარწმუნებულია—ჯარის გაწვევის საქმეში ბოროტმოქმედება ხდება და უნდა ალვიჭურვოთ სურვილით გავაფთხილოთ ყველა ჯარში გასაწვევი, ამათი მშობელი-მოკეთენი—ნუ გაიღებენ ხარჯს თავის დახსნისთვის, რადგანაც დღეს დიდი სიმკაცრეა მიღებული, რომ ბოროტმოქმედება არ მოხდეს. ნუ მოტყუვდებიან, ნუ დაუჯერებენ სხვადასხვა მოხელეთა დამქაშებს.

მოახლოვებულია ჯარის გაწვევის დრო, სიებს ახლა ამზადებენ „პრისუტსტვიებში“, გასაწვევნი ფულის ძებნაში არიან, მარაგდებიან ხარჯის გასაწევათ და საჭიროა ახლავე ყოველი შეგნებული პირისგან მათი გაფთხილება და დაჯერება, რომ მოერიდონ თავის მოტყუილებას. ამ საქმეში სოფლის მასწავლებელნი, ღვდლები და გაგებული პირები ბევრს სარგებლობას მოუტანდენ ჩვენს ხალხს, თუ მხარს მოგვცემენ და ხალხში ამ რწმენას გაავრცელებენ ასეთი „პროპაგანდა“ უფრო საჭიროა იმ ადგილებში სადაც ფულის ხალხი მოიძებნება; არიან ისეთი სტატისტიკოსები რომელნიც ამტკიცებენ, რომ ყოველი ჯარის გაწვევა ჩვენს ხალხს უჯდება არა ნაკლებ სამოცი ათასი მანეთის მოხელეებისა და მათი დამქაშების ჯილდოთ.

კეთილის მსურველი.

## თანამედროვე ფსალმუნები.

ულამაზესი გრძნობა ადამიანისა არის გრძნობა მეგობრობისა.

რამდენათ ადამიანი ფასსა სდებს გარემო ბუნების სიკეკლუცეს—იმდენათ უფრო აფასებს მეგობრობის სილამაზესაც, ესმის და იცის გემო მისი.

მეგობრობა—თვით სილამაზეა, მშვენიერებაა... იგი გონჯს ალამაზებს, სულით მახინჯს აკეთილშობილებს.

იგი ვით გული ადამიანისა ფასათ არ იყიდება, და თვით ზღვისა და ხმელეთის უმდიდრესიც ვერ გაიღებდა მის საფასურს.

მეგობრობა კეკლუცი სტუმარია გულისა—უკეთურ ღირსეულათ უმასპინძლებს, მასთან ბინასაც დაიდებს. მზაკვარი გული ვერა მაცდურობით მას ვერ მოინადირებს...

და ამად არის, რომ ამ დუხჭირ დროში მეგობრობის მონადირენი ბლომათაა, ხოლო მისი ლამაზი სუფრის მონადიმენი რიცხვით მცირეა... ამად არის, რომ გრძნობა მეგობრობისა შურს იწვევს სენ-მოჭილი გულიანებისას.

დავითი.

## მშრომელი ხალხი.

**ბაქოს ამბები.** ნავთის სამრეწველოებში მუშაობა თანდათან იწყება. მუშებს ეკონომიური მოთხოვნილება ყველგან დაუკმაყოფილეს. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სამრეწველოს ადმინისტრაციამ განცხადება გამოაკრა. მუშებს აცნობებდა—შეგიძლიათ ანგარიში მიიღოთო. მუშებმა მეორე დღეს მუშაობა დაიწყეს ასევე მოხდა მოსკოვო-კავკასიის სამრეწველოში. ნობელის სამრეწველოს მუშები კვლავ განაგრძობენ გაფიცვას. ამ მუშების წარმომადგენლებმა სამრეწველოს ადმინისტრაციას წარუდგინეს მოთხოვნილება. ნობელისა და როჩშილდის სამრეწველოს ადმინისტრაციამ გამოაცხადა: 12 ავგისტოსათვის თუ მუშაობა არ დაგიწყიათ, რაც დაგითმეთ, ყველას უკანვე წავიღებთო. 9 ავგისტოს სულ 1817 მუშამ დაიწყო მუშაობა.

**გაფიცვა.** ლონდონში მღებარ მუშათა კავშირმა გაფიცვა გამოაცხადა: მუშაობას თავი დაანება 10 ათასმა მღებარმა. მოთხოვენ კავშირის არსებობის შეწყნარებას და ჯამაგირის მომატებას. საამშენებლო განყოფილების 150 ათასმა მუშამ სურვილი გამოსთქვა, რომ გაფიცულებს მხარს დავუჭეროთო.

**მუშობის განახლება.** პეტერბურგში გარტმანის ქარხანაში გაფიცულებმა ძველ პირობებში მუშაობა დაიწყეს. 12 მუშა არ მიიღეს სამუშაოთ. მათ გაფიცვის ხელმძღვანელობას სდებენ ბრალათ. მუშები 85 დღეს იყვნენ გაფიცული.

## რუსეთი.

**რკინის გზის სადგურების უფროსთა კრება.** რკინის გზის უმთავრეს სამართველოში ამჟამათ იმუშავებენ მომავალი კრების პროგრამას. კრებაზე მიიწვევენ კერძო რკინის გზების სადგურის უფროსებსაც. კრების მიზანია მიმოსვლის საქმის გაუმჯობესება. იმსჯელებენ აგრეთვე საზოგადოთ რკინის გზის ტარიფის შესახებ. კრება მოხდება ამ წლის ბოლოს ან 1914 წლის იანვარში.

**სამხედრო შკოლები.** სინოდთან არსებულმა საშკოლო საბჭომ, რომელიც სამრევლო შკოლების შტატის გაფართოვების შესახებ პროექტს იმუშავებს, სახელმწიფო კანტროლიორს შეეკითხა: ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, რომ ამ საგანზე მეტი ფული გადაიდვასო.

**სასოფლო-სამეურნეო სადგური.** ნოვოჩერკასკის ოლქის საერობო კომიტეტმა დაადგინა—მიეცეს ყოველ წლივ 50 ათასი მანეთი სასოფლო სამეურნეო სადგურს. ეს სადგური ჯერ არ დაარსებულა და სად უნდა დაარსდეს, ამის შესახებ ნოვოჩერკასკსა და დონის როსტოვს უთანხმოება აქვთ ერთმანეთში. მოსალოდნელია—სადგური ნოვოჩერკასკში დაარსდეს, ვინაიდან აქ 250 დესეტინა მამულს სწირვენ, რომელიც ასოცი ათას მანეთად ღირს.

## უცხოეთი.

**მაკედონელთა პროტესტი.** ორასი მასწავლებელი მაკედონიიდან სოფიას მივიდა. მასწავლებლებმა სოფიაში გადასწყვიტეს დიდი სახელმწიფოების წინაშე პროტესტი განაცხადონ. პროტესტს აცხადებენ ბერძენთა და სერბიელთა მიერ მაკედონლების შევიწროების გამო. ვენას ბულგარ-მაკედონლების დელეგაციაც მივიდა. იქ მათ კრება გამართეს, სადაც მაკედონლების შესახებ რამდენიმე მოხსენება იქნა წაკითხული. ორატორებმა სერბიელებისა და ბერძნების წინააღმდეგ ბევრი ილაპარაკეს.

**იუანშიკაი.** იუანშიკაიმ გაიმარჯვა. მან ბელგიის ერთი ბანკიდან 250 მილიონი ფრანკი ისესხა. სამხრეთლების დამარცხებას მათი ბელადების იაპონიაში გაქცევამაც ხელი შეუწყო. ეს გამარჯვება სამხრეთლებზე ძალით ჩაუვლიდა იუანშიკაის, რომ მას ფული არ ეშოვა. ფული რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიხარჯება. დიდ სახელმწიფოებს სასიამოვნოთ არ [illegible] კაიმ სესხი იშოვა.

დიდი [illegible] ფოების კოლექტიური ნოტა ოსმალეთისათვის ჯერ არ ჩაუბარებიათ. გაზეთების ცნობით გერმანია კოლექტიურ ნოტაზე ხელს არ მოაწერს. ცნობაა—ბულგარეთის მთავრობას ეცნობა, რომ ადრიანოპოლი ოსმალებს დარჩებაო. მალე დაიწყება ბულგარეთსა და ოსმალეთ შორის მოლაპარაკება. ბულგარეთი თანახმაა—ადრიანოპოლი ოსმალებს დაუთმოს ხოლო თავისთვის კი კირკილისს მოითხოვს.

## ღია წერილი.

ბ-ნ ნ. ხ—ს.

გასულ ხუთშაბათს ბულვართან რამდენიმე პირი ვიყავით შეგროვილი და ვხუმრობდით. ამ დროს შემოგვიერთდით თქვენც, ბ-ნო ხ-კო! და ჩაერიეთ ჩვენს მუსაიფში ხუმრობა-ოხუნჯობის საგანი, როგორც ხშირათ, იყო ის, რომ სხვადასხვა მიმართულებისანნი ერთმანეთს დავსცინოდით, ამ საერთო ოხუნჯობის დროს, თქვენ მოულოდნელათ რაღაც იწყინეთ და წამომაძახეთ, რომ მე გამაშავეს მამასახლისის თანამდებობაზე, მეც გიპასუხეთ, მომილოცავს-მეთქი ისეთი პირის არჩევა, რომელიც თქვენ აირჩიეთ. ამაზე პასუხათ მითხარით: დღესაც რო დაიდგას ყუთი, იმას მიემხრობით და დაეხმარებით და ამას ზედვე დასძინეთ, ვითომ მეც უნდა გამეფლანგოს „კოლხიდის“ საზოგადოების შვიდასი მანეთი.

მე იმის წინააღმდეგი რა უნდა მქონდეს, რომ თქვენ თქვენს იდეურ „ამხანაგს“ დაეხმაროთ არჩევნებში, მხოლოდ მოვითხოვ თქვენგან დამიმტკიცოთ, რომ მე გავფლანგე „კოლხიდის“ საზოგადოების შვიდასი მანეთი, ან თუნდა შვიდიკაპიკიც და ვსდებ პირობას რომ ქ. ქუთაისის გავეცილები და ამით დავგამშვიდებთ სამუდამოთ; ხოლო, თუ არ დამიმტკიცეთ, ნება მექნება, გიწოდოთ საზიზღარი მეჭორე და ცილის მწამებელი. თუ მართალია თქვენგან წამოსროლილი ბრალდება, ად ვილათ დაამტკიცებთ. რადგან „კოლხიდის“ საზოგადოების ძველი გამგეობის

---

...ლო ყალბ ნაბიჯს, ერთ უბრალო უნებურ შეცდომას ხშირათ დიდი, წარუხოცელი ზიანი შეუძლია მოუტანოს ხალხის საქმეს.

* * *

უკანასკნელი სადგური, ჩვენი, ასე ვთქვათ, მთავარი შტაბი უწერა ვახლდით. უწერისაკენ, სხვათაშორის, სოფ. ...რი გამოვიარეთ. აქ მცირე ხნით შევისვენეთ. დუქნის წინ ერთი ორივე ფეხებმოჭრილი რაჭველი შეგვხვდა. სახით ნამდვილ ლომბროზოს თანშობილ ტიპს მოგვაგონებდა. და მართლაც, რო გამოვკითხე მისი ვინაობა, აღმოჩნდა, რომ მკვლელობისთვის მას უკვე სახალინში კატორღა გადაეხადა, შემდეგ ციმბირში დასახლებულიყო, თავისი სახლკარი, საქონელი გაეჩინა. ამ ექვსი შვიდი წლის წინათ, რაჭაში დაბრუნებისას ზედ ნაქერალას თავზე იმდენათ ავათ გამხთარიყო, რომ ვერ განეგრძო გზა, მთელი ღამე თოვლსა და სიცივეში უპატრონოთ გდებულიყო და ყინვისაგან ფეხები დაზროდა. „ბოლოს, რომ არაფერმა მიშველა, ჩემის ხელითვე ორივე ფეხი მოვიჭერიო“,—დაამთავრა მან თავისი ამბავი. აი, ჯანღონით გოლიათი, ფოლადი, კლდე, გავიფიქრე ჩემს გუნებაში! „ახლაც კი, არც ერთი ფეხი რომ არა აქვსო, მითხრეს იქვე მისმა ნაცნობებმა, ერთ კარგ ვაჟკაცს შეკრავსო“. ამას ამბობდენ სამოცი წლის კაცზე, რომელსაც, შევნიშნავ აქვე თეთრი თმა თითქმის არც კი ერია. მან რო დაწვრილებით თავისი თავგადასავალი გვიამბო, ჩვენ განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, არ გვჯეროდა როგორ შეიძლება ადამიანმა იმდენი აიტანოს და ბოლოს მაინც ცოცხალი სული და სხეული შერჩეს. რაჭაში საზოგადოთ ახოვანი, დიდი ღონის პატრონი ხალხია. ის შრომა, რომელსაც რაჭველი ხშირათ სამშობლოს გარეთ ეწევა, იმერელს ორ დღეზე საკვდილის პირას მიიყვანდა.

რაჭაში დაჭრა-მოკვლა საკმაოდ ხშირი მოვლენაა, ხოლო სხვა დანაშაულებანი—ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და სხ. გაცილებით ნაკლებია. ამას თვით ადგილობრივი მკვიდრნი მოწმობენ. „მთაზე საძოვარზე ცხენსა და სხვილ საქონელს მწყემსი არა ყავს და არადროს შემთხვევა არ ყოფილა, რომ ვისმე ისინი მოეპაროს“,—გადმოგვცეს აქ ზოგიერთებმა.

მეორე საინტერესო ტიპი, ეს სორგლივე დიაკვანი იყო, რომელიც დიაკვნობდა და იმავე დროს მიკიტნობდა კიდეც. ეკლესია და დუქანი,—მიკვირდა, როგორ ურიგდებოდა ეს ორი ცნება ერთმანეთს.

— საკურთხები კიდევ იცით?—შევეკითხე დიაკვანს.

— როგორ არა ბატონო!... ერთი მესამედი ჩემია, ორი კი ღვდლისაა... უჩემოთ ვერც ერთი ქორწინება, ვერც ერთი ნათვლა ვერ მოხდება, თუ მე ხელი არ მოვაწერე...

— ვინაა თქვენი ღვდელი, ნასწავლია?.

— ონისიმე მინდელი გეხლავს, ბატონო!

— აი ის ონისიმე, წინათ რომ ქუთაისში იყო? ერთ დროს არტისტობდა კიდეც...

— დიახ, ეგ არის...

— თქვენ საიდან იცით,—მცირე პაუზის შემდეგ კვლავ დავეკითხე,—ღვდელს რამდენს აძლევენ ან სანათლავს ან დასამარხს?..

— მაგას, ბატონო, ღმერთი წყალობს: ყოველ წირვა-ლოცვის დროს ღმერთს ევედრება: „ორი წილი ღვდელს, ერთი წილი მეო, უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალეო“—იმახვილა ერთმა იქ მდგომმა.

* * *

აი, უწერაშიც დავბინავდით რვა დღის მგზავრობის შემდეგ.

უწერა თავის ცნობილი მჟავე წყლით და მრავალი რკინის წყლებით, რომელნიც აქ და საერთოდ რაჭაში თითქმის ყოველ ნაბიჯზეა, ერთი უდემოკრატესი კურორტია ჩვენ მხარეში. უწერა ამჟამათ არაფერია, მაგრამ მასში ყველაფერია იმისთვის, რომ იგი გახდეს მშვენიერ კეთილწყობილ საავარაკოთ. მის სამკურნალო წყლებზე ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ მისი კლიმატიური, ტოპოგრაფიული პირობები გვეუბნებიან, რომ უწერას მომავალი აქვს, შეიძლება დიდიც, ნამეტურ თუ ოდესმე მასზე რკინის გზამ გაიარა. საზოგადოთ, ჩვენში ისეთი აზრია გავრცელებული, რომ აბასტუმანს, ბორჯომს და სხვა ამისთანა პირველხარისხოვან კურორტებს მეტოქე არა ჰყავსო. ესე ჩემის შეხედულებით, შემცდარი აზრია. რაჭაში უწერას ჰავით, ტოპოგრაფიით ბევრი სხვა ადგილი სჯობნის, მაგრამ მასაც კი ზოგი ისეთი უპირატესობა აქვს, თუნდა, მაგ., დიდათ განთქმულ სამკურნალო მთის ჰაერით აბასტუმანზე, რომ ამ უპირატესობას უბრალო თვალიც კი შეამჩნევს- მარტო ერთი „ნაწარა“*), ზაფხულშიც თოვლით ლამაზათ აჭრელებული, და მთელი ის კუთხე, სადაც ხეობიდან გამოსავალში ორი მოპირდაპირე, ფიჭვ-ნაძვით შემოსილი ხავერდოვანი მთა ერთმანერთს თითქო ფეხით მიბჯენია, სადაც ხეობა იმდენათ ვიწროვდება, რომ იგი ჩაკეტილი გგონია,—მარტო ეს რათა ღირს? აქ ის არ არის, რაც ადამიანს პირველ აღმაფრენას მალე უნელებს—ერთგვარობა ბუნებისა. აქ ტყე არის, იქ მთის ღელეა იქ კიდევ სალი კლდე უფრო ქვემოთ ამწვანებული კორდები, საყანე მინდვრები, ოქროსფრათ თუ მწვანეთ მობიბინე... ახლომახლო მთის ფერდობებს რომ უცქერით მაღლობიდან, უწერა მისი მიდამოებით ხელოვნურათ გაკეთებულ წალკოტს მოგაგონებთ, სხვადასხვაფერათ ამოკერილ ხალიჩას, რომელზეც აქა-იქ მჭიდროთ დასახლებული სოფელი კოხტათ გამოიკჭრება... ან და რიონი, მუდამ შმაგი, მქუხარე, შეუპოვარი, „არა გვიანი“. რომელსაც „თან მოსძახიან მთანი ტყიანი“,—ან ეს რათა ღირს?..

ჰოდა, რიონი! იცით სხვაგან რა სიმდიდრის წყარო იქნებოდა იგი?! ჩვენში კი მხოლოდ მღვრიე წყალია ხიდ-ბოგირების წამლები გზების დამაზიანებელი, ჭალების წამლეკი და მეტი არაფერი. რაც უფრო სცილდებით ქუთაისს და უახლოვდებით მის სათავეს, მით უფრო რწმუნდებით, რომ რიონი დიდი ენერგიის მფლობელია. ნამეტურ ალაგ-ალაგას რიონი გასაოცარ ძალასა და სისწრაფეს იჩენს. იგი ტიპიური მთის წყალია. რა კარგათ მიუკვლევიათ სიმდიდრისათვის უცხოელ კაპიტალისტებს, რომ თავისი არჩევანი სწორეთ რიონსა და თერგზე გაუჩერებიათ ჰადრავლიური ძალის მისაღებათ!

უწერა სამხედრო-ოსეთის გზაზეა, და ამიტომ მას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი მგზავრი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმავალი, თუ იქიდან მომსვლელი. ეს ცენტრია სხვადასხვა ექსკურსანტებისა და ტურისტებისა. არ ვიცი, სხვების როგორ იყო, ხოლო წელს კი ეს უკანასკნელნი მრავლათ მიდი-მოდიან. დღე ისე არ გავა, რომ აქ ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ და რუს ტურისტებს არ შეხვდეთ, ხოლო ქართველ მოგზაურს ერთსაც არ შევხვედრივართ. მოდიან შორიდან, ძალიან შორიდან, რომ ინახულონ კავკასია მისი მდიდარი, მშვენიერი ბუნებით, რომელსაც ხშირად ქვეითად მიმოვლიან კიდით-კიდემდი. ევროპიელი იტანს მრავალნაირ უხერხულობას, ებრძვის მრავალ დაბრკოლებას, ჰგუობს მისთვის ურჩევ პირობებს, ითმენს ხშირათ შიმშილს, წყურვილს, ოღონდაც დასტკბეს სულიერათ იმ ბუნებით, იმ არე-მარით, რომლისაკენ იგი, თითქო რაღაც ვნებით შეპყრობილი, მოეშურება. ბევრი მათგანი სამეცნიერო მიზნით მოდის ჩვენში. ერთი ტურისტი გერმანიიდან ჩამოსულიყო და ჩვენში ქვეითად მოგზაურობდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვენი ალპების პეპლები მოეგროვებია. იგი ბერლინის საბუნებისმეტყველო მუზეუმში. პეპლების განყოფილებას განაგებდა და კოლექციას ამისათვის ამზადებდა. ხოლო რაც ამ მოგროვილ პეპლებში შესამჩნევი ან სრულიად ჩვენთვის უცნობი აღმოჩნდება, იმის აწერას ერთ სპეციალურ გერმანიელ ჟურნალში მოვათავსებთო“, გადმოგვცა ამ გერმანელმა. მეორე მხოლოდ ჩვენი მთების ყვავილებსა და მცენარეებს ეცნობოდა და აგროვებდა. ევროპაში, სადაც ვიწრო სპეციალიზაცია ბატონობს, ასეთი შორი. მოგზაურობა ასეთი ვიწრო მიზნით ადვილათ გასაგებია.

ბევრ საინტერესო ტიპს შეხვდებით აქ მოგზაურთა შორის. ერთი რუსი ინტელიგენტი ხანგრძლივ საუბარში გვიმტკიცებდა, რომ რუსული კულტურა თქვენ—განაპირა ქვეყნების ერებს—გამახინჯებთო, თქვენთვის საჭიროა ავტონომია მიიპოვოთო... მაგივრათ მეორე რუსი ინტელიგენტი, ახალგაზდა სტუდენტი, ვგონებ, „სოიუზნიკების“ ბანაკიდან, ამის წინააღმდეგ აზრს იცავდა:

— როგორ შეიძლება იმ ქვეყანას, სადაც ამდენი ერი ცხოვრობს, ავტონომიური თვითმართველობა მიეცესო...

— რუსეთს ჩვენ მხარეზე ყალბი წარმოდგენა აქვს, შევაწყვეტინე ლაპარაკი;—კავკასიაში მთავარი ერი სამია და თქვენც ჯერჯერობით ამათ უნდა გაუწიოთ ანგარიში...

— კი, მაგრამ განათლებით ხომ დაბლა სდგანან ეს ერები?!.

— არც ეგ არის მართალი: ქართველები და სომხები კულტურულათ იმდენათ მომზადებული არიან, რომ შეუძლიათ თავის თავი თვით განაგონ... აი, ქუთაისი, თქვენ რომ ეს ერის ინახულეთ, იქ რომ ინტელიგენტია, იმდენს, დაიჯერეთ, მთელი რუსეთის იმპერიაში ვერც ერთ მის ოდენა ქალაქში ვერ იპოვით... ცოტას თათრები მოიკოჭლებენ ამ მხრით მაგრამ არც ამათ აწყენთ პოლიტიკური თვითმართველობა-მეთქი...

ასე შევყევით კამათს. დავაჯერე თუ არა ჩემი მესაუბრე, არ ვიცი, მხოლოდ ბოლოს მან სიჩუმე არჩია.

(დასასრული შემდეგ)

გრ. გველესიანი.

*) მთის სახელია.

**მიღებულია:**

რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)

ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.

✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

# სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (...) |
|---|---|---|---|---|
| | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| | 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 |
| ნარზანი და ცხენ-ტუკი № 20 | 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩა

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი; აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


წევრები, რომელნიც ჩემთან ერთად მსახურობდენ გამგეობაში და ახლებიც ქუთაისში იმყოფებიან და დავთრებიც დაცული აქვთ.

**ვას. ბეჟანეიშვილი.**

## რ ა ჭ ა.

**დ. ონი.** 15 ივლისს, ექიმის, შამშე (სიმონ) ლეჟავას თაოსნობით შესდგა საგანგებო კრება, რომელსაც უნდა განეხილა მომავალი „შოვის სანატორიუმის" საზოგადოების წესდება და ამოერჩია კომისია სანატორიუმისთვის ადგილის გამოსაძებნათ. კრებამ აქ. ლეჟავასაგან წარდგენილი წესდება ერთხმათ მიიღო. წესდების მიღებას შემდეგ კრებამ აირჩია 10 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიც შედიან: რაჭის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანაშემწე თ. მიხეილ ჯაფარიძე, თ. დიმიტრი ყიფიანი, ექიმი შამშე ლეჟავა, მომრიგებელი მსაჯული ს. მაჭავარიანი, ექიმები: თ. ასლან გელოვანი, ვას. წულეისკირი, დ. ჯავარიძე და სხვანი. კომისიამ თავის მხრით ადგილის ასარჩევათ დამხმარე პირებათ მიიწვია ბატ. ივ. გამყრელიძე, რაჭის მაზრის უფროსი ლავროვი, დეკან. ღვდ. ივ. კანდელაკი და სერგი ბახტაძე. ამ პირებმა დაათვალიერეს ადგილი „შოვი", რომელიც მდებარეობს სოფ. გლოლადან სამი ვერსის მანძილზე სამხედრო ოსეთის გზის მარცხნით. ადგილის დაწვრილებით დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მდებარეობით, შემკული ტყითა და მინერალური წყლებით; ძევს 4500 ფუტ. სიმაღლეზე, ტყე უმთავრესათ ფიჭვნარი და ნაძვნარია; ადგილი დაახლოებით 5000 დესეტინაა. კომისიამ და დამხმარე პირებმა ადგილის დათვალიერებას შემდეგ ის დასკვნა გამოიტანეს, რომ „შოვი" სანატორიუმისთვის საუკეთესო ადგილია, და თავის მდებარეობით, წყლებითა და ჰაერით გამოსადეგია არა მარტო ჭლექით ავათმყოფთათვის, არამედ სხვადასხვა სენით შეპყრობილთათვისაც—როგორც კუჭის, სისხლნაკლების, გულის ფრიალისა და სხვა. კომისიამ თათფირს შემდეგ დაადგინა: 1, „შოვი„ სანატორიუმისთვის საუკეთესო ადგილია; 2, გააცნოს და დააინტერესოს რუსეთის ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება და სთხოვონ დახმარება სანატორიუმის დაარსების საქმეში; 3, სთხოვოს მთავრობას საჭირო ადგილი სანატორიუმისთვის და ხეტყის მასალა უფასოთ დაეთმოს „შოვის სანატ." საზოგადოებას და 4, აღიძრას შუამდგომლობა მისი უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის წინაშე—მიიღოს „შოვის სანატორიუმის" საზოგადოება თავის მფარველობის ქვეშ.

თუ ეს საქმე შესრულდა, ცხადია, მას არა მარტო რაჭისათვის, ან კერძოთ ჩვენი ქვეყნისათვის ექნება მნიშვნელობა. დარწმუნებული ვართ—„შოვის" სახელი სულ მალე ჩვენს ქვეყნის ფარგალს გასცილდება და ამ ედემს უცხოელნი დავრდომილნიც მოაშურებენ, რათა ამ შემკული ბუნების წიაღში შვება და განკურნება ჰპოვონ. ვუსურვებთ ენერგიას ამ დიდი საქმის თაოსნებს.

**ონელი.**

## ო დ ი შ ი

**ს. ჭალეჯიხა.** აქ არსებობს ორკლასიანი შკოლა, რომელშიაც სწავლობს 200-მდი ბავში. ეს შკოლა ქართული ენის სწავლების საქმეში ტყვილათ ატარებს შკოლის სახელს, მასწავლებლები, III და IV განყოფილებიდან იწყებენ ქართულ ენას, მაგრამ დაწყებასაც აქვს მნიშვნელობა: დიდი მადლობის ღირსი იქნება ის მასწავლებელი, რომელიც შეასწავლის მოწაფეებს სამ-ოთხ პატარა ლექს და თუ სამი გვერდი ჩვეულებრივი რვეულისა გადააწერია „გაუსწორებლათ ერთი წლის განმავლობაში. როგორც ეტყობა 81 წლის სამოსწავლო პლანი ამ შკოლისთვის არ შეუმუშავებიათ; რამ შეაძულათ ეს ქართული ენა იქაურ მასწავლებლებს ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული. ჯერ უნდა იკითხოთ—ამ რუსული ენის რომელ სახელმძღვანელოს ხმარობენ? რა თქმა უნდა მათთვის სათაყვანო დავისის წიგნებს, თვარა გოგებაშვილის „Русское слово"ს ვინ გააცხადებს საჭიროთ მიმაჩნია და ურჩევ იქაურ მასწავლებლებს გამოიწმინდონ ყური, აიხადონ ის ფარდა, რომელიც ვუშლის მხედველობას, გეიხედ-გამოიხედონ და მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ქართულ ენას შკოლაში.

**დინჯი.**

### წერილი რედაქციისადმი,

ბ. რედაკტორო! სვანეთიდან ახლოთ ჩამოსულს ბევრი მეკითხებოდა რამ გამოიწვია უთანხმოება შენსა და სვანეთის ბოქაულ ეგნატე გაბლიანის შორის.

იძულებული ვარ—შემდეგი განმარტება დავსძინო; ბ-ნ გაბრიელ ნიჟარაძესა და პატივცემულ ეგნატე გაბლიანის შორის ოთხ წელზე მეტია, რაც უთანხმოება იყო. მე სულ ერთი წელიწადია სვანეთში ვმსახურობ. სვანეთის გაცნობის უმალ გავეცანი მათი ბძოლის მავნებლობას და ჩვენი ქვეყნის ტურფა, მაგრამ ნახევრათ ველური კუთხის სასარგებლოთ მოვინდომე მათი შერიგება. ამ საქმეში დახმარებას მიწევდენ ექიმი პატივცემულ ს. კ. გაბიანი და მასწავ. გუჯეჯიანი. ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა შერიგება მოხდა და „იმერეთის" მე 89 №-ში ბ. გაბრ. ნიჟარაძის წერილზე მხოლოდ შეცდომით აწერია ჩემი სახელ-გვარიც.

**ვარლამ ძიძიგური.**


რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე წელიწადი მეორე

1913 **იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. | . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

## ახალი გამოგონება მეცნიერებაში

ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

## ახალი სითხე ქაკმენის ЮЮ

უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ელურული ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

## ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყო-ფი

## საბუღალტერო კურსები

## გ. გ. გივინეიშვილისა.

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო- და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი,)

## ჭრა-კერვის

## სპეციალური სახელოსნო

ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.

მისამართი: თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.

პატივისცემით **საშა ჭუმბაძე.**


## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ. 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დ

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. საათ. 9 წ. დილ.


ქ. ქუთაისში (სობოროსთან

## ა. თაბაგარის მაღაზიაში

## 20 ივლისიდან დანიშნულია

## დიდი იაფი ვაჭრობა

## ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინ[ები], გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

**ფასები ძლიერ დაკლებულია**

ხრესილი

## სამკურნალო აბანო

მდიდარი მთის ჰაერზე

## ძმ. ყორყოლაძეების

ჩვენი ექიმის ზედამხედველობით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

## გ. მორდაძის და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ[ში] უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინ[ის] ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

## რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო

ქარხნებისგან

**მიღებული რკინეული**

საქონელი: კარის, ფანჯრის

და ღუმელის მოწყობილობანი;

სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის

მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,

ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,

ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.

**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.



ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.